ფონდი “კრისტალი”

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება:	
ბალანსი	4
მოგება-ზარალის უწყისი	5
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	6
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8-19

საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია
Georgian Audit & Consulting Company
A Horwath Business Alliance Associate

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფონდი "კრისტალის" გამგეობას:

ჩვენ ჩავატარეთ ფონდი "კრისტალის" თანდართული 2007 წლის 31 დეკემბრის ბალანსის უწყისის აუდიტი. ჩვენ აგრეთვე ჩავატარეთ მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის აუდიტი. აღნიშნული ფინანსური უწყისების მომზადება წარმოადგენს კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას. ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე აზრის გამოხატვა ამ ფინანსურ უწყისების შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, მოცემული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ფონდის ფინანსურ მდგომარეობას 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

GACC

საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია

A Horwarth Business Alliance Associate

12 თებერვალი 2008

საქართველო, თბილისი 0179, კოსტავას ქ. 47 / 47, Kostava St., 0179 Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 98 40 39, 25 31 61 Tel./Fax: (995 32) 43 83 55, E-mail: gacc@caucasus.net
www.gacc.com.ge

საბალანსო უწყისი 2007 წლის 31 დეკემბრისათვის *(ლარებში)*

	ახსნა-განმარტება	*2007*	*2006*
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	1	167	894,383
გაცემული სესხები		-	2,968,360
საეჭვო ვალების რეზერვი		-	-120,432
წმინდა გაცემული სესხები		-	2,847,929
მისაღები პროცენტები		-	80,254
საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან	2	12,349	13,516
მოთხოვნები შვილობილ საწარმოებთან	4	98,558	-
სხვა აქტივები		-	38,235
სულ მიმდინარე აქტივები		**111,074**	**3,874,316**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	3	-	210,718
არამატერიალური აქტივები, წმინდა	3	-	18,017
მონაწილეობა სხვა საწარმოში	4	292,111	18,290
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	81,922
სულ გრძელვადიანი აქტივები		**292,111**	**328,946**
სულ აქტივები		**403,185**	**4,203,262**
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
მომწოდებლებთან ვალდებულებები		11,871	27,457
მოკლევადიანი კრედიტი		-	103,150
გრძელვადიანი კრედიტის მიმდინარე ნაწილი			
საგადასახადო ვალდებულებები	2	127,936	26,400
სხვა ვალდებულებები			34,048
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**139,807**	**506,340**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი კრედიტი		-	2,442,256
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**2,442,256**
სულ ვალდებულებები		**139,807**	**2,948,596**
კაპიტალი			
რეზერვები და დაფინანსება		-	876,161
წინა წლის აკუმულირებული მოგება		15,879	322,677
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		247,499	55,828
სულ კაპიტალი		**263,378**	**1,254,666**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**403,185**	**4,203,262**

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალის უწყისი 2007 წლის 31 დეკემბრისათვის *(ლარებში)*

	ახსნა-განმარტება	2007	2006
შემოსავლები	5		
საპროცენტო შემოსავალი		1,164,141	1,087,125
საფინანსო მომსახურების გადასახადი		99,887	86,329
ჯარიმის სახით მიღებული შემოსავალი		98,667	86,346
სადეპოზიტო შემოსავლები		9,993	7,857
კურსთაშორის სხვაობის შემოსავალი		120,466	90,278
სხვა შემოსავლები		8,940	4,529
სულ შემოსავლები		**1,502,093**	**1,362,463**
ხარჯები	6		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		577,285	550,466
საპროცენტო ხარჯი		187,685	164,298
გადასახადები		146,309	20,028
ცვეთა და ამორტიზაცია		45,397	34,789
სესხის ჩამოწერიდან წარმოშობილი საპროცენტო ხარჯი		25,078	56,921
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი		152,542	138,491
საეჭვო ვალების ხარჯი		29,877	309,921
აუდიტი და კონსალტინგი		36,459	31,709
სულ ხარჯები		**1,200,631**	**1,306,624**
არასაოპერაციო შემოსავლები			
შემოსავლები გრანტებიდან		7,912	13,946
სულ არასაოპერაციო შემოსავლები		**7,912**	**13,946**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**309,373**	**69,785**
მოგების გადასახადი	7	**61,875**	**13,957**
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		**247,499**	**55,828**

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2007 წლის 31 დეკემბრისათვის *(ლარებში)*

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	**2007**	**2006**
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება/ზარალი	247,499	55,828
გაცემული სესხები (წმინდა)	2,847,928	(924,036)
სხვა აქტივები	201,578	(103,490)
მომწოდებლებთან ვალდებულებები	(15,585)	2,136
გრძელვადიანი კრედიტის მიმდინარე ნაწილი	(315,284)	164,714
საგადასახადო ვალდებულებები	101,536	(6,024)
სხვა ვალდებულებები	(34,048)	14,185
ნეტო ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	**3,033,623**	**(796,686)**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ცვლილება	210,718	(122,009)
არამატერიალური აქტივების ცვლილება	18,017	3,318
ნეტო ფუადილ სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	**228,735**	**(33,765)**
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მოკლევადიანი კრედიტი	(103,150)	(146,459)
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	(1,512,608)	-
მოთხოვნები შვილობილ საწარმოებთან	(98,558)	-
გრძელვადიანი კრედიტი	(2,442,256)	1,822,161
ნეტო ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	**(4,156,573)**	**1,675,702**
ფულადის სახსრების ნეტო ზრდა	**(894,216)**	**845,251**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	**894,383**	**49,132**
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**167**	**894,383**

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ცვლილებები საკუთარ კაპიტალში 2007 წლის 31 დეკემბრისათვის *(ლარებში)*

	2007	2006
დაგროვილი კაპიტალი პერიოდის დასაწყისისთვის	**1,254,666**	**1,198,838**
წმინდა მოგება	247,499	55,828
აქციების გადაცემა რეორგანიზაციისას	(1,238,787)	-
დაგროვილი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	**263,378**	**1,254,666**

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ზოგადი ინფორმაცია

ფონდი "კრისტალი" წარმოადგენს ქართულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის მხარდაჭერით ხელი შეუწყოს სიღარიბის დაძლევას საქართველოში და უზრუნველყოს ამ სფეროში მომუშავე მცირე მეწარმეები ადვილად ხელმისაწვდომი, სწრაფი და მაღალხარისხიანი ფინანსური მომსახურებით.

ფონდი კრისტალი წარმოადგენს 1995 წლიდან დასავლეთ საქართველოში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის – საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთის" მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამის ბაზაზე დაფუძნებულ ქართულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას. "კრისტალის" ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს – „ფონდი". ფონდი დაფუძნებულია საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთის" რეორგანიზაციის შედეგად.

ფონდი კრისტალის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მიკროსაფინანსო საქმიანობის წარმართვა. ორგანიზაციის ძირითადი სასესხო პროდუქტებია: ინდივიდუალური სესხები, ჯგუფური სესხები, სამომხმარებლო სესხები, აგრო-ბიზნეს სესხები და გრძელვადიანი საკრედიტო ხაზები. ორგანიზაციაში ყველა სახის შიდა პროცედურები რეგულირდება გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებებითა და შინაგანაწესით. ფონდში ფუნქციონირებს შემდეგი სახის შიდა დებულებები: სასესხო პოლიტიკა, ფინანსური პოლიტიკა, ადმინისტრაციული დებულება და შიდა კონტროლის დებულება.

"კრისტალის" მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები დაბალი შემოსავლების მქონე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, რომელიც განსაკუთრებულად საჭიროებს ეფექტურ ფინანსურ და სოციალურ მხარდაჭერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფონდის საქმიანობას გააჩნია როგორც ფინანსური, ასევე სოციალური ეფექტი და ხელს უწყობს სიღარიბის პრობლემების შემსუბუქებასა და საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ქვეყანაში.

ორგანიზაცია 2007 წელს სასესხო ოპერაციებს წარმართავდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ საკუთრებაში გადმოცემული სესხის კაპიტალის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (დოიჩებანკი, კორდაიდი, ოიკოკრედიტი, ნოვიბი, ბლუ ორჩარდი, თიბისი ბანკი, ცენტრი აფხაზეთი) მიღებული კრედიტების საფუძველზე.

ფონდი "კრისტალის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 2007 წელს ფონდმა დაარსა შვილობილი საწარმო - სს „კრისტალი", რომელსაც მთლიანად გადასცა მისი კუთვნილი, როგორც აქტივები, ისე ვალდებულებები.

ორგანიზაცია აღნიშნულ საქმიანობას ანხორციელებს სათაო ოფისის (ქ. ქუთაისი), სამი ფილიალის (ქ. ზუგდიდი, ქ. ფოთი, ქ. თბილისი) და ათი საველე ოფისის (ქ. ქუთაისი (3), ქ.ოზურგეთი, ქ. სამტრედია, ქ. სენაკი, ქ. ხონი, ქ. მესტია, ქ. ჩხოროწყუ, ქ. ლანჩხუთი) მეშვეობით. სასესხო ოპერაციების წარმოება ხდება 4 საბანკო დაწესებულების დახმარებით 12 საბანკო ანგარიშის გამოყენებით.

ფონდის მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №72

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ფონდ "კრისტალის" ანგრიშებს, საბალანსო უწყისსა და მასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს.

ფინანსური უწყისები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ქვემოთ განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები.

დართული ფინანსური ანგარიშები მოყვანილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარებში, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ფუნქციონირების ძირითად ვალუტას.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ფონდის სალაროში და საბანკო ანგარიშზე რიცხულ თანხებს.

ვალუტის კურსი

ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდებოდა ლარებში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდებოდა ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტის (აშშ დოლარის და ევროს) მიმართ შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	დოლარი	ევრო
ლარი	**1.5916**	**2.3315**

ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებად მიიჩნევა აქტივი რომლის სასარგებლო გამოყენების (ექსპლუატაციის) ვადა აღემატება ერთ წელს. საწყისი ისტორიული ღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურს, ამოუღებელ გადახდილ გადასახადებს და იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში გაშვებასთან.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია შეძენის ღირებულებით და აკუმულირებული ცვეთის გამოკლებით. ფიქსირებული აქტივების შეძენის ღირებულებაში შეიტანება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის სათანადო მდგომარეობასა და კონდიციამდე მისაყვანად. მიმდინარე რემონტის ხარჯები ხარჯებს მიეკუთვნება მათი გაწევისთანავე.

ლიკვიდირებული ან გაყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულება და შესაბამისი ცვეთის თანხა ჩამოიწერება ანგარიშებიდან და აღნიშნული

ოპერაციის შედეგი, შესაბამისად მოგება ან ზარალი შეიტანება მიმდინარე წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხორციელდება დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივების შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადის (წლების) განაკვეთების შესაბამისად.

შენობები	4 %
სატრანსპორტო საშუალებები	33 %
ავეჯი და ინვენტარი	33 %
ოფისის აღჭურვილობა	25 %

ორგანიზაციის მიერ ფინანსური და ადმინისტრაციული დებულების შესაბამისად ტარდება ინვენტარიზაცია და ყველა ძირითადი საშუალება მარკირებულია.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავალი მოიცავს დონორი ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებს, საპროცენტო შემოსავლებს, კლიენტებისათვის გაცემული სესხის მომსახურების გადასახადს (ფინანსური მომსახურეობიდან მიღებული შემოსავლებს), დარიცხულ ჯარიმებს და სხვა შემოსავალს. მიღებული გრანტების შემოსავლად აღიარება ხდება შესაბამისი დანახარჯების გაწევის პროპორციულად.

ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

სოციალური დაზღვევისა და სხვა სოციალური ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ფონდი ვალდებულია გადაიხადოს დარიცხული ხელფასის 20% სოციალური გადასახადების სახით.

ფონდი იხდის ქონების გადასახადს, ასევე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან მოგების გადასახადს 20%-ის ოდენობით.

გაცემული სესხები

წარდგენის პრინციპები

სესხები წარმოდგენილია როგორც გაცემული სესხების, ასევე საეჭვო მოთხოვნების რეზერვების სახით.

საბალანსო უწყისში მოცემული საეჭვო სესხების რეზერვის ნაშთი წარმოადგენს მისი შედგენის თარიღისათვის არსებულ შესაძლო დანაკარგებს. სესხების
რეზერვი შექმნილია CGAP-ის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ დადგენილი პარამეტრების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო სტანდარტს

მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასევე ფონდის მენეჯმენტის მიერ ისტორიული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.

სესხების რეზერვების პოლიტიკა

რეზერვის მოცულობა დამოკიდებულია სესხების ვადაგადაცილების ვადებზე და მათ რისკიანობაზე. სესხებიდან საბოლოო დანაკარგები შეიძლება განსხვავდებოდნენ მიმდინარე შეფასებებისაგან.

იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს საიმედო ინფორმაცია კლიენტების კრედიტუნარიანობის შესახებ, ამიტომ შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს მოსალოდნელი ზარალი. მიუხედავად ამისა, საწარმოს ხელმძღვანელობა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ეცადა ზუსტად დაედგინა მოსალოდნელი ზარალი, და ის დარწმუნებულია რომ არსებული ინფორმაციის პირობებში შექმნილია ადექვატური რეზერვი.

	რეზერვის პროცენტი
წმინდა პორტფელი	1 %
გადავადებული სესხები	25 %
ვადაგადაცილება:	
1-30 დღემდე	25 %
31-90 დღემდე	50 %
91-180 დღემდე	75 %
181 დღე და მეტი	100 %

ძირითადად რეზერვირება ხდება საანგარიშო თვის, კვარტლის და წელიწადის მიხედვით.

სესხების ჩამოწერის პოლიტიკა

ფონდი "კრისტალი" სესხის ჩამოწერას ახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა:

- გარდაიცვლება ბიზნესის მესაკუთრე და მასთან ერთად მისი ბიზნესიც შეწყვეტს არსებობას
- სასამართლოს მიერ მოხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება
- საანგარიშო წლის ბოლოს ორგანიზაციის სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც შედგება აღმასრულებელი მენეჯმენტისა და გამგეობის წევრებისაგან, მოხდება გადაწყვეტილების მიღება უიმედო სესხის ჩამოწერის თაობაზე

სესხის გადავადების პოლიტიკა

სესხის გადახდის გადავადების წესები რეგულირდება "კრისტალის" სასესხო მეთოდოლოგიის მიხედვით. აღნიშნული წესის თანახმად, გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია გაკეთდეს სესხის გადახდის გადავადება მაქსიმუმ 30 დღის ვადით. აკრძალულია სესხის ყოველგვარი რესტრუქტურიზება და რეფინანსირება.

გადავადებული სესხების აღრიცხვა ხდება ორგანიზაციის ყოველთვიურ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებში ცალკე გამოყოფილი პუნქტის სახით, მისი ოდენობა კი მოქმედებს ორგანიზაციის სესხის რეზერვის დაანგარიშებაზე (საერთო რეზერვის თანხას ემატება გადავადებული თანხის 25%)

ინსაიდერებზე გაცემული სესხები

2005 წლის ოქტომბრის თვიდან "კრისტალმა" დაიწყო სამომხმარებლო სესხების გაცემა "ინსაიდერებზე". ორგანიზაციის თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ სტანდარტული სამომხმარებლო სესხებით, ხოლო ბიზნეს-სესხების გაცემა მათზე აკრძალულია.

პროცენტის დარიცხვა ვადაგასულ სესხებზე

პროცენტის დარიცხვა წარმოებს მხოლოდ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პროცენტების დარიცხვა არ ხდება.

ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური რისკების მართვა წარმოადგენს ფუნდამენტურ და აუცილებელ ელემენტს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსური ოპერაციებისათვის. ძირითადი რისკები დაკავშირებულია საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო ცვლილების (სავალუტო და საპროცენტო) რისკებთან. ფონდის რისკის მართვის პოლიტიკა გათვლილია არაპროგნოზირებად ფინანსურ ბაზარზე და მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს ფონდის ფინანსური ზიანის მომტანი ეფექტები. რისკების მართვას ახორციელებს ფონდის მენეჯმენტი გამგეობასთან ერთად.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი იმართება ფონდის მენეჯმენტის მიერ. 2007 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის მენეჯმენტს სჯერა, რომ არ გააჩნია ლიკვიდობის რაიმე არსებითი რისკი, რადგან მხედველობაში იღებს საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე აქტივების სწრაფად ლიკვიდურობას.

საკრედიტო რისკი

ფონდი ექვემდებარება საკრედიტო რისკს. რომელიც წარმოადგენს სიტუაციას, როდესაც დადგენილ დროს შემხვედრ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს თანხა სრულად. ფონდი მენეჯმენტი რეგულარულად ახდენს მსესხებლებისა და პოტენციური მსესხებლების შესაძლებლობების ანალიზს. სესხის პორთფელის დიდი ნაწილი გაცემულია მყარ ვალუტაში (აშშ დოლარის კურსის შესაბამისად ლარებში). აგრეთვე, სესხების მნიშვნელოვანი ნაწილის უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა სახის გირაოს საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი

ფონდი ექვემდებარება საბაზრო რისკს, რომელიც დაკავშირებულია ბაზრის ცვლილებებთან, რაც გავლენას ახდენს სავალუტო და საპროცენტო

განაკვეთებზე. ფონდის მენეჯმენტი გამგეობასთან ერთად აწესებს ლიმიტს რისკის იმ ღირებულებაზე, რომელიც შესაძლებელია ფონდმა გასწიოს და რომელიც მოწმდება რეგულარულად. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მიდგომის გამოყენება ვერ იცილებს თავიდან დანაკარგების არსებობას აღნიშნული ლიმიტის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანი საბაზრო მოძრაობების შემთხვევაში.

1. ფულადი სახსრები

2007 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის ფულადი სახსრები მოიცავს:

	2007	**2006**
ნაღდი ფული სალაროში	-	265
ფული საბანკო ანგარიშებზე	167	894,118
სულ:	**167**	**894,383**

2. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2007 წლის 31 დეკემბრისათვის:

	2007	**2006**
საგადასახადო აქტივები		
მოგების გადასახადი	2,090	-
დღგ	8,359	11,616
სხვა გადასახადები	1,899	1,899
სულ საგადასახადო აქტივები	**12,349**	**13,516**
საგადასახადო ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადი	47,770	25,802
სოციალური გადასახადი	79,617	-
ქონების გადასახადი	548.92	598
სულ საგადასახადო ვალდებულებები:	**127,936**	**26,400**

3. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2007 წლის განმავლობაში ფონდის ძირითად საშუალებებში მომხდარ ცვლილებებს. 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდის ყველა ძირითადი საშუალება გადაცემულია ფონდის შვილობილი საწარმოსათვის:

	შენობები და ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	კომპიუტერული ტექნიკა	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
2006 წ. 31 დეკემბერი	118,091	48,614	23,224	21,794	56,917	25,277	**293,917**
შეძენა	23,713		111,926	22,261		12,159	**170,060**
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	(141,804)	(48,614)	(135,150)	(44,055)	(56,917)	(37,436)	**(463,977)**
2007 წ 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	
დაგროვილი ცვეთა							
2006 წ. 31 დეკემბერი	5,854	8,973	12,016	13,131	17,948	7,260	**65,182**
წლის დარიცხვა	9,291	14,562	48,256	17,476		3,919	**93,504**
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	(15,145)	(23,535)	(60,272)	(30,607)	(17,948)	(11,179)	**(158,686)**
2007 წ 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	
ნეტო საბალანსო ღირებულება							
2006 წ. 31 დეკემბერი	**112,237**	**39,641**	**11,208**	**8,663**	**38,969**	**18,017**	**228,735**
2007 წ 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-	-

4. მონაწილეობა სხვა საწარმოში

აღნიშნული თანხა წარმოადგენს 2007 წელს ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას მის შვილობილ საწარმოში. შვილობილ საწარმოს წარმოადგენს სს "კრისტალი", რომელის დამფუძნებელი და აქციების 100%-ის მფლობელი მისი დაფუძნების მომენტისათვის არის ფონდი "კრისტალი". ინვესტიცია განხორციელდა ფონდის მიერ მისი კუთვნილი კაპიტალის (აქტივებს მინუს ვალდებულებები) შვილობილი კომპანიისთვის მთლიანად გადაცემის გზით. ინვესტიცია შეფასებულია 2007 წლის 13 აგვისტოს მდგომარეობით და იგი შეადგენს 1,530,898 ლარს:

სესხები	4,174,874	ლარი
მინუს სესხების რეზერვები	(75,983)	ლარი
წმინდა სესხები	4,098,891	ლარი
მისაღები პროცენტები	82,835	ლარი
სხვა მიმდინარე აქტივები	42,706	ლარი
ძირითადი საშუალებები	331,197	ლარი
არამატერიალური აქტივები	26,790	ლარი
სხვა გრძელვადიანი აქტივები	121,612	ლარი
სულ აქტივები	4,704,031	ლარი

საკრედიტო ვალდებულებები	3,461,476	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	50,619	ლარი
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5,560	ლარი
სულ ვალდებულებები	3,517,655	ლარი

საწესდებო კაპიტალში ჯამური შენატანი ვალდებულებების გათვალისწინებით	1,530,898	ლარი

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით აკრძალულია სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული საგადასახადო ვალდებულების ან მოთხოვნის სხვა პირისთვის გადაცემა. მოთხოვნები შვილობილ საწარმოსთან – 98,558 ლარი წარმოადგენს ამგვარი ვალდებულებების საკომპენსაციო მოთხოვნას.

თანახმად კანონისა "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შეხახებ" 2007 წლის 23 აგვისტოს განხორციელდა ფონდი "კრისტალის" მიერ 1,530.898 ლარის აქციების ნაწილის საკუთრებაში გადაცემა ფიზიკურ პირებზე. ამ ოპერაციის შედეგად ფონდის საკუთრებაში დარჩა აქციების 19.081% (292111 ლარის აქცია).

5. შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი (1,164,141 ლარი) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს პროცენტს გაცემულ სესხებზე. საპროცენტო განაკვეთი წესდება გაცემულ სესხზე ფიქსირებული (ბრტყელი) და კლებადი სესხის ბალანსის პრინციპით წლიური 18 %-დან 36%-მდე სესხის ტიპისა და მოცულობის მიხედვით. კლიენტები რომლებიც პროცენტს ფარავენ ბრტყელი ბალანსის პრინციპით სარგებლობენ შეღავათით წინასწარ დაფარვის შემთხვევაში (დასაფარი პროცენტის 20%).

ფინანსური მომსახურეობიდან მიღებული შემოსავლების აღიარება

შემოსავალი ფინანსური მომსახურეობიდან (99,887 ლარი), შედგება: კლიენტების მიერ გადახდილი საკომისიოსაგან (გატანილი სესხის 1%-დან - 2%-მდე), რომელიც წესდება თითოეულ მსესხებელზე (ჯგუფური სესხების გარდა) სესხის გაცემის პროცედურასთან დაკავშირებული მომსახურეობისათვის და პარტნიორი სავაჭრო დაწესებულებების მიერ გადასახდელი ფინანსური მომსახურეობის საკომისიოსაგან, რომელსაც ისინი იხდიან წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე ყოველთვიურად.

ჯარიმის სახით მიღებული შემოსავლის აღიარება

ჯარიმის სახით ორგანიზაციის შემოსავალში შედის (98,667 ლარი) თანხები რომელსაც იხდის მსესხებელი სასესხო ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. ჯარიმა წესდება მხოლოდ სესხის ძირითად თანხაზე 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ჯარიმის თანხის გადახდას მსესხებელი აწარმოებს ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე.

კურსთაშორის სხვაობის ოპერაციები:

უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ სასესხო მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან კომპანიას წარმოეშობა მოგება-ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან. 2007 წლის განმავლობაში კურსთაშორის სხვაობიდან შემოსავალმა შეადგინა – 120,466 ლარი, ხოლო ხარჯმა – 152,542. სულ 2007 წლის ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან - 32,076 ლარი.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალში (8,940 ლარი) შედის, სტაჟირებიდან მიღებული შემოსავალი და შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან. ორგანიზაცია აწარმოებს მსურველთა აყვანას და სწავლებას 3 თვიანი სტაჟირებისათვის, რისთვისაც თითოეული სტაჟორი თვეში იხდის 50 ლარს.

6. ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2007 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაწეული საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

	2007	**2006**
ხელფასი და სხვა სარგებელი	266,911	255,156
სოც. გადასახადი ხელფასსა და სხვა სარგებელზე	53,381	53,439
საწვავ საცხები მასალები	38,384	37,291
რეკლამის ხარჯი	13,404	10,060
საიჯარო ქირა	53,981	17,547
კომუნიკაცია	23,404	15,183
დაზღვევა	1,614	13,602
რემონტის ხარჯი	15,761	11,993
ცვეთა და ამორტიზაცია	45,397	34,789
საეჭვო ვალების ხარჯი	29,877	309,921
სხვა საგადასახადო ხარჯი	146,309	20,028

აუდიტორული და სარეიტინგო მომსახურეობა	36,459	31,709
კადრების გადამზადების ხარჯი	-	4,715
საკანცელარიო ნივთები	13,282	10,358
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,006	968
მივლინება	3,298	7,165
სხვა საერთო ხარჯი	45,740	16,612
ბანკის მომსახურება	33,964	33,620
საწევრო გადასახადები	-	2,439
საპროცენტო ხარჯი	187,685	210,298
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი	152,542	138,491
საპროცენტო ხარჯი სესხის ჩამოწერიდან	25,078	56,921
კომუნალური და სხვა სამეურნეო ხარჯები	12,156	-
სულ:	**1,200,631**	**1,306,624**

7. მოგების გადასახადი

ფონდი იხდის მოგების გადასახადს 20%-იანი განაკვეთით. 2007 წლის საგადასახადო მოგება დაბეგვრამდე შეადგენდა **307,400** ლარს.

2007 წლის მოგების გადასახადის გაანგარიშება:

საგადასახადო მოგება დაბეგვრამდე	**307,400**
	20%
	61,480
დროებითი სხვაობები:	
შეღავათიანი სესხიდან მიღებული შემოსავალი	(1,910)
რემონტის ხარჯი	(7,979)
ცვეთა და ამორტიზაცია	536
საეჭვო ვალების ხარჯი	(29,877)
1000 ლარამდე ძირითადი საშუალებების ხარჯი	55,338
სხვა საერთო ხარჯები	(14,136)
სულ:	**1,973**
გადავადებული საგადასახადო აქტივი (ვალდებულება)	**395**
მოგების გადასახადი	**61,875**

გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივი 395 ლარი წარმოშობილია ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვით შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებაში არსებული სხვაობების საფუძველზე.

8. საკანონმდებლო გარემო

2008 წლიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რითაც გაუქმდა სოციალური გადასახადი (20%), ხოლო საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 12%-დან 25%-მდე. აგრეთვე, შემცირდა მოგების გადასახადი 20%-დან 15%-მდე. ფიზიკური პირები გათავისუფლდნენ იჯარით გაცემულ ქონებასთან დაკავშირებული ქონების გადასახადისგან (1%), ხოლო იურიდიულ პირებს დაეკისრათ აღნიშნული გადასახადი ფიზიკური პირისგან ქონების დაქირავების შემთხვევაში.

2005 წლის 25 თებერვალს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებით განისაზღვრა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატუსი.

2006 წლის 18 ივლისს მიღებულ იქნა კანონი "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" რომლის თანახმადაც მიკროსესხების გაცემით და მასთან დაკავშირებილი საქმიანობით დაკავებულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ეძლევათ დარეგისტრირდნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციად და განახორციელონ თავიანთი საქმიანობა კანონით დადგენილ ჩარჩოებში.

9. საწარმოს ფუნქციონირებადობა

ფონდმა 2007 წლის 23 აგვისტოს, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონის შესაბამისად დააფუძნა სს "კრისტალი", რომელსაც სრულად გადასცა მისი კუთვნილი აქტივები და ვალდებულებები. ამით მან შეწყვიტა მისი ძირითადი საქმიანობა - მიკრო სასესხო და სხვა ფინანსური ოპერაციები.

****